

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ახალი ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დასახლება ადლია/დასახლება ანგისა/აეროპორტის გზატკეცილი ჩიხი I, N48-ში მდებარე 8399,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 05.32.05.075) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ახალი ბულვარი“-სათვის (ს.კ. 445493813) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ახალი ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამი წარმოდგენილია შპს „ახალი ბულვარი“-ს წერილი (N10/1421134290-14; 14.05.2021 წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ კომპანია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საავტომობილო სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციას, ეროვნული და საერთაშორისო რანგის საბავშვო კარტინგის ჩემპიონატების, ტურნირების და სხვა შეჯიბრებების მოწყობას, საავტომობილო სპორტში ახალგაზრდა თაობის აღზრდას და მათი საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას, ბავშვებისათვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების სწავლებას, ქალაქის ქუჩებში მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდას-ექსტრემის მოყვარულთათვის ალტერნატივის შეთავაზებას და მათი ქუჩებიდან უსაფრთხო ადგილას გადაყვანას. აღნიშნული სპორტული აქტივობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროექტის განხორციელების მიზნით შპს „ახალი ბულვარი“ თხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უსასყიდლოდ, 2 (ორი) წლის ვადით, ქ. ბათუმში, ე.წ. „ბათუმის ავტოდრომი“-ს ტერიტორიის სარგებლობაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, ქალაქ ბათუმში, დასახლება ადლია/დასახლება ანგისა/აეროპორტის გზატკეცილი ჩიხი I, N48-ში მდებარე 8399,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 05.32.05.075) რეგისტრირებულია ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს უზუფრუქტით სარგებლობა (N892018653601; 24/07/2018წ.). შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „ბათუმის სპორტულ ცენტრს“ შორის განხორციელდა მიმოწერები (N14-1421153327; 02/06/2021წ. N34-1421155398; 04/06/2021წ. N14-1421165325; 14/06/2024წ და N34-1421167452; 16/06/2021წ.), რომლის თანახმად ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“ არ არის წინააღმდეგი შეწყდეს ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში, აეროპორტის გზატკეცილი, ჩიხი I, N48-ში (ს.კ. 05.32.05.075) მასსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის რეგისტრირებული უზუფრუქტის ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება ავტოდრომის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისი ღონისძიებების ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს მიერ გამართვისას (ჩატარებისას) ავტოდრომის ტერიტორიაზე ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს შეუზღუდავი, უსასყიდლოდ დაშვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, შპს „ახალი ბულვარს“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დასახლება ადლია/დასახლება ანგისა/აეროპორტის გზატკეცილი ჩიხი I, N48-ში მდებარე 8399,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ავტოდრომი).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

შპს „ახალი ბულვარი“-სათვის ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში, აეროპორტის გზატკეცილი, ჩიხი I, N48-ში მდებარე ავტოდრომის ტერიტორიის გადაცემა ხელს შეუწყობს საავტომობილო სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას, საავტომობილო სპორტში ახალგაზრდა თაობის აღზრდას და მათი საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას, ბავშვებისათვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების სწავლებას, ქალაქის ქუჩებში მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდას, აღნიშნული სპორტული აქტივობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე